



ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიისთვის

2010 წლის ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნები

III ანგარიში

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) მხარდაჭერით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



2010 წლის 25 მაისი



შესავალი

ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში 2010 წლის 6 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდს მოიცავს. ის ყურადღებას ადმინისტრაციული რესურსების სამ ძირითად ტიპზე – ხისტ, მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ – რესურსებზე ამახვლებს.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირი წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეებისა და ძალადგანი უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობა იყო. საჯარო მოხელეები მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ეწეოდნენ, რაც მათ კანონით ეკრძალებათ. ძალადგანი უწყებების თანამშრომლებს კი საერთოდ არა აქვთ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვის უფლება.

რამდენიმე რაიონში კვლავ გამოვლინდა ოპოზიციური პარტიების კანდიდატებისა და აქტივისტების დაშინების ფაქტები და საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევები.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მოწოდებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს რეგიონული კოორდინატორების და სხვა რეგიონული კონტაქტების – ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, საჯარო მოხელეების და პარტიული აქტივისტების – მიერ.

ხისტი რესურსები

პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, მავალითად, ოპონენტებისა და მათი აქტივისტების დაშინება, დარბევა, უკანონოდ დაკავება, დაპატიმრება და ა. შ.

პოლიტიკური პარტიის წევრებზე ზეწოლა

14 მაისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანის რწმუნებულმა, მერაბ ღონღაძემ სამსახურიდან გაათავისუფლა ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“ შალვა ფერაძე. ის სოფელში ტრაქტორისტად მუშაობდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვია არევაძემ მოგვიანებით გამართულ სოფლის ყრილობაზე ფერაძეს განუმარტა, რომ მისი გათავისუფლების მიზეზი პოლიტიკური აქტიურობა იყო. ადგილობრივი ხელისუფლების აზრით, ფერაძე თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ამომრჩევლებზე გავლენას მოახდენდა. ფერაძეს გათავისუფლების შესახებ წერილობითი დოკუმენტი არა აქვს, თუმცა ის ტრაქტორს აღარ მართავს. აღნიშნულ ინფორმაციას შალვა ფერაძე და ამავე ბლოკის წევრი, იურისტი იური ლურსმანაშვილი ღიად ადასტურებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ რეაგირებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაუგზავნა.

ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მასწავლებელი, ლეილა ჯავახიშვილი ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია. მან ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ახმეტის №9 საარჩევნო უბანი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბ-ბინა ერთსადაიმთხვე შენობაში – აწყურის საჯარო სკოლაში – იყო განთავსებული. ამავე სკოლის დირექტორი, ბელა ბახბახიშვილი ხოდაშენში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ იყრის კენჭს.

ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ საარჩევნო უბანი სხვაგან გადაიტანეს. ლეილა ჯავახიშვილი კი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ზაურ წითელაურმა კაბინეტში დაიბარა და დაეპუქრა, რომ თუ არ გაჩერდებოდა, სამსახურში პრობლემები შეექმნებოდა. ზაურ წითელაური ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსის, ივერი წითელაურის მამაა. ივერი წითელაური



ამჟამად შევებულებაშია გასული და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახმეტის საარჩევნო შტაბში მუშაობს.

ზეწოლის თაობაზე ლეილა ჯავახიშვილმა ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს შეატყობინა. ბლოკმა ეს ინფორმაცია თავის ვებგვერდზე განათავსა. ამის შემდეგ, 25 მაისს, როგორც ლეილა ჯავახიშვილი ამბობს, ბელა ბახვაშივილმა პედაგოგთა შეკრება ჩაატარა, რომელზეც ჯავახიშვილს უსაყვედურა და შეახსენა, თუ როგორ მფარველობდა ის მას [ლეილა ჯავახიშვილს] წარსულში.

ამომრჩევლებზე ზეწოლა

17 მაისს გორის სოფელ ქვახვრელის სკოლას გორის გამგეობის ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ივანე ნუსხელიძე, გუბერნატორის ადმინისტრაციის სპეციალისტი ეთერი ჯალაღანია და ერთი უცნობი პირი ესტუმრნენ. ისინი მასწავლებლებს შეხვდნენ და იმის გამო გააკრიტიკეს, რომ ისინი ამ სოფლის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზურაბ სადალაშვილის წარდგენაზე არ მივიდნენ. „სტუმრებმა“ მასწავლებლებს შეახსენეს, როგორ შეკეთდა სკოლა და მათ „უმაღურები“ უწოდეს. ამ ფაქტს შეხვედრაში მონაწილე მასწავლებლები მხოლოდ პირად საუბრებში ადასტურებენ.

ინსტიტუციური რესურსები

წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და საჯარო ფინანსებით დაფინანსებული ორგანიზაციების¹ სხვა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენება.

მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით ხშირი წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების კანონის დარღვევით მონაწილეობის შემთხვევები იყო. საარჩევნო კოდექსი საჯარო მოხელეებს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს საარჩევნო აგიტაციას უკრძალავს². სამართალდამცავი და ძალოვანი უწყებების საჯარო მოხელეებს კი საერთოდ ეზღუდებათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება³. კოდექსის ამ მუხლების დარღვევა სამართალდამრღვევი პირის 1500 ლარით დაჯარიმებას იწვევს⁴.

წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობა და მმართველოს პარტიის მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური რესურსების გამოყენება სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარს ამცირებს და საჯარო სამსახურის ნეიტრალურობის პრინციპს არღვევს. ხშირად რთული ხდება იმის გარჩევა, თუ სად მთავრდება მთავრობის საქმიანობა და იწყება პარტიული აქტიურობა და პირიქით.

საჯარო მოხელეების მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების – გურიანთის, მერიის და ოზურგეთის – რწმუნებულების საშუალო კაბინეტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო

¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, აგრეთვე კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებშიც სახელმწიფოს წილი 50%-ს ან მეტს შეადგენს.

² საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი და 76¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

³ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

⁴ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 126¹⁸ მუხლი.




პლაკატებითა და ბუკლეტებითაა სავსე⁵. საარჩევნო კოდექსით საარჩევნო სუბიექტების პლაკატების გაკვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტერიერსა და ექსტერიერში იკრძალება⁶. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **სოფელ გურიანთის რწმუნებულმა, ბახვა კვერდელიძემ** გაზეთ „გურია ნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომის სამუშაო ოთახში⁷ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბია განთავსებული. ამ ოთახში გაზეთის ჟურნალისტმა რამდენიმე უბნის ამომრჩეველთა სიების ასლებიც აღმოაჩინა. სიებში სოფელ გურიანთის ამომრჩევლების საკონტაქტო ინფორმაცია და ის იყო მითითებული, თუ ვინ აპირებდა არჩევნებზე წასვლას და მათგან ვინ უჭერდა მხარს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“. სოფლის გამგებელმა განმარტა, რომ, როგორც შტაბის წარმომადგენელი, ის „შიდა სამსახურებრივ სიაზე“ მუშაობდა (*იხილეთ ფოტო №1 – მხარდაძვერთა სიები გურიანთის რწმუნებულის მაგიდაზე და ფოტო №2 – გურიანთის რწმუნებულის და მისი სამუშაო ოთახი*). .



ფოტო №1

ფოტო №2

ასეთივე მასალითაა სავსე **სოფელ მერიის რწმუნებულის, ვაჟა ჩანჩიბაძის სამუშაო მაგიდაც**. მან ჟურნალისტების გამოჩენისას ფურცლების დასტა გაზეთში შეფუთა, თუმცა მმართველი პარტიის სააგენტაციო მასალის დამალვა არ უცდია. ასევე მაგიდაზე დარჩა ამომრჩეველთა სია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების და მათი მობილური ნომრების მითითებით (*იხილეთ ფოტო №3 – სოფელი მერიის რწმუნებულის და მისი სამუშაო ოთახი და ფოტო №4 – მხარდაძვერთა სიები რწმუნებულის მაგიდაზე*).



ფოტო №3
ფოტო №4

⁵ 2010 წლის 23 მაისის მდგომარეობით.

⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷ სოფელ გურიანთის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა.



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატები აქვს სამუშაო ოთახში **სოფელ ოზურგეთის რწმუნებულს, გრიგოლ ჩხაიძესაც** ამასთან დაკავშირებით მან „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის ოთახში სწორედ მმართველი პარტიის პლაკატები უნდა იყოს. „მე ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და შვიდიანები ხომ არ მექნება?!“ – იკითხა მან (იხილეთ ფოტო №5 – სოფელი ოზურგეთის რწმუნებული და მისი სამუშაო ოთახი).



ფოტო №5

სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღის შენობაზე მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო პლაკატებია. როგორც ბაღის გამგემ, მაღლენა ანდლულაძემ „გურია ნიუსთან“ საუბარში აღნიშნა,

საბავშვო ბაღს ყველაფერი „ნაციონალებმა“ გაუკეთეს, ახლაც სხვადასხვა პროდუქტით (ზეთით, შაქრით, ფქვილით, საჩუქრებით და ა.შ.) ამარაგებენ, და კაბინეტსა და შესასვლელსაც ურემონტებენ. მაღლენა ანდლულაძის თქმით, ყველაფერს ამას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებს. „დაიხს, „ნაციონალური მოძრაობა“, გამგეობა და ჩვენ – ყველა ერთად ვართ შეკრული,“ – განაცხადა მან.

16 მაისს გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაჟორიტარობის კანდიდატი, ზურაბ სადალაშვილი წარადგინა. წარდგენაში, სხვებთან ერთად, მონაწილეობას **საპატრულო პოლიციის ოცმეთაური, ნიკო ხშიადაშვილიც** იღებდა (იხილეთ ფოტო №6 – ნიკო ხშიადაშვილი მწვანე მაისურით და სათვალეებით).



ფოტო №6

10-11 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო შტაბში სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ **საგადასახადო ინსპექციის თელავის რეგიონული ცენტრის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, ირაკლი უჯირაული, ზემო ალვანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, დავით ქააძე,**

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი ახმეტის რაიონში, ლევან ცაძიკიძე, თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის უფროსი სპეციალისტი, მიხეილ იუკურიძე, და სახელმწიფო ქონების, აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს სპეციალისტი ახმეტის რაიონში, გიორგი ცისკარიშვილი.

ეს პირები მითითებულ დღეებში საარჩევნო შტაბში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეგიონულმა კოორდინატორმა ნახა. ამის შესახებ ინფორმაცია რეაგირებისთვის ცესკოშიაგადაგზავნილი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ლევან გამსახურდია შვებულებაში იმყოფება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყვარლის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს. 7 მაისს იგი, გარემოს დაცვის მინისტრთან ერთად, სოფელ ენისელში ჩავიდა, სადაც სტიქიით დაზარალებულ



მოსახლეობას შეხვდა. მინისტრი დაზარალებულებს დახმარებას დაჰპირდა. ამ საუბარში გამსახურდიაც მონაწილეობდა. ის სამაშველო ღონისძიებების თანამიმდევრობასა და სხვა დეტალებს განმარტავდა.

ამით მან დაარღვია „საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის“ 89-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, შევებულებაში ყოფნის დროს საჯარო მოხელეს სამსახურებრივი ურთიერთობა უჩერდება (იხილეთ ფოტო №7 – გამგებელი ლევან გამსახურდია ვოვა ხაჩიძეს (მარცხნიდან პირველი) ესაუბრება).



ფოტო №7

ამ ფაქტთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ცესკოს მიმართა, თუმცა ვინაიდან დარღვეულია არა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, არამედ კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ცესკომ რეაგირება არ მოახდინა.

ოზურგეთში მარტის ბოლოდან მოყოლებული, წინასაარჩევნო კამპანიაში, „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის სახელით, აქტიურად მონაწილეობენ თბილისის მერიის თანამშრომლები – ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, აკაკი სტურუა და საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ლევან ეხვიაა. 3 მაისს გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტმა აკაკი სტურუას ფოტოზე დაფიქსირება სცადა, რის გამოც სტურუამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ცესკოსა და მერიისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აკაკი სტურუა 3 მაისიდან შევებულებაშია (31 მაისამდე), ლევან ეხვიაა კი 15 აპრილიდან 14 მაისამდე იყო შევებულებაში. ამდენად ისინი წინასაარჩევნო აგიტაციას კანონდარღვევით ეწეოდნენ (სტურუა – 3 მაისამდე, ხოლო ეხვიაა – 15 აპრილამდე).

29 აპრილს გურჯაანის კულტურის ცენტრში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენას სამუშაო საათებში ესწრებოდნენ: გურჯაანის რაიონული პროკურორი, გელა ლაზაშვილი, გამგეობის აპარატის სპეციალისტი, ჯემალ შალაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, დავით გოგებაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების და სოციალური განვითარების სამსახურის უფროსი, ნიკა ნიჟარაძე, და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ჭანდრის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, რობერტ არაყიშვილი.

ყველა შემოაღნიშნული პირი, გარდა რაიონული პროკურორისა, ფოტოებზეა დაფიქსირებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ რეგიონულმა კოორდინატრმა სცადა, სურათი მისთვისაც გადაეღო, მაგრამ ის ჯერ ვილაცას ამოეფარა, მერე კიდარბაზი გინებით დატოვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ცესკოს ეს ინფორმაციაც მიაწოდა. ამჟამად საკითხი განხილვის პროცესშია (იხილეთ ფოტო №8 – დავით გოგებაშვილი (მარჯვნიდან პირველი) და ფოტო №9 – ნიკა ნიჟარაძე (მარცხნიდან პირველი)).



ფოტო №8



ფოტო №9

აპრილში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებებს „ერთიანი ნაციონალური ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისში წერდნენ. მოგვიანებით საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრად ყველა მათგანი დანიშნა.

არსებობს ვიდეომასალა, სადაც ჩანს, თუ როგორ ავსებს რამდენიმე პირი განაცხადს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში.

ვიდეონტერვიუში სოფელ ხელთუბნის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი, ვალიდა ბერიანიძე ამბობს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის შესახებ განცხადება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისში შეიტანა. საოლქო კომისიიდან გამოთხოვილ სიაში წერია, რომ კომისიის თავმჯდომარედ ის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერა იყო წარდგენილი.

სოფელ სვენეთის მკვიდრი, ჯემალ საათაშვილი და სვენეთის საჯარო სკოლის ბუღალტერი, ნანული ხაბელაშვილი ოფიციალურად ასევე საოლქოს საარჩევნო კომისიის მიერ არიან წარდგენილები, თუმცა განცხადებები ორივემ მმართველი პარტიის სიაში შეავსო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ამასთან დაკავშირებით ცესკო საქმის კურსში ჩააყენა. საკითხი განხილვის პროცესშია.

ამომრჩეველთა მოსყიდვა

10 მაისიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეცერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გიორგი ხორგუანი, იფარის თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გონა ქალდანი, ლატალის თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დავით გვიშიანი, და ჭუბერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გია ანსიანის მეუღლე, —სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, მესტიის სოფლებში ოჯახებში დადიან და მათ, მმართველი პარტიის და მისი კანდიდატების მხარდაჭერის სანაცვლოდ, სოციალური დახმარების დანიშნავს ჰპირდებიან. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობა პირად საუბრებში ადასტურებს.

ეს ფაქტი საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 73-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევაა (საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება



ფულადი სახსრებით) და 73 მუხლის მე-9¹ მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძველს ქმნის.

ასეთივე ქმედებას ადგილი ჰქონდა 18 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ომალოში. ერთ-ერთი სოფლის მკვიდრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში დადიოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ თუ ხმას მმართველ პარტიას არ მისცემდნენ, სოციალური დახმარება შეუწყდებოდათ. ამ ინფორმაციას პირად საუბარში ადასტურებს ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი პირიც.

9 მაისს ლანჩუთის სოფლებში, შუხუთსა და ჩოჩხათში, და კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მედლებს (საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით) და ერთჯერად ფულად დახმარებას (50 ლარის ოდენობით) ურიგებდნენ⁸.

მედლები და 50-50 ლარი სოფელ ჩოჩხათელ ვეტერანებს – სევერიან ზენაიშვილს, ბიჭიკო ზენაიშვილს, ამირან ტულუშს, კახი ძიმისტარიშვილსა და პავლე ხუციშვილსაც გადასცეს. ამ პროცესში სოფლის რწმუნებული, ჯუმბერ ლომინეიშვილი, რწმუნებულის თანაშემწე, გედევან ცინცაძე და სკოლის დირექტორი, სოფლის მაჟორიტარობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, დალი კვერენჩილაძე მონაწილეობდნენ. დალი კვერენჩილაძემ მედლების გადაცემაში მონაწილეობა თავიდან უარყო. „მე მათთან [ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან] ერთად არ მივსულვარ ამ ადამიანებთან. როცა ისინი წავიდნენ, შემდეგ მივულოცე მათ 9 მაისი“, – განუცხადა მან „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს სატელეფონო საუბარში. 13 მაისს ის ჩოჩხათის რწმუნებულთან ერთად შეხვდა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ოჯახებში მართლაც მივიდა, თუმცა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ოჯახები მისი ახლობლები იყვნენ. დალი კვერენჩილაძემ დასძინა, რომ ის საჩუქრების გადაცემაში პირადად არ იყო ჩართული.

ომის ვეტერანები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობას ფარულ აუდიოჩანაწერში ადასტურებენ..

სოფელ შუხუთში, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლანჩუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ელგუჯა ჩხაიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს მედლებსა და საჩუქრებს მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, რევაზ ჩიტიძე და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ლანჩუთის სერვისცენტრის თანამშრომელი, გიგა აფხაძე ურიგებდნენ. დეპუტატობის კანდიდატის ვეტერანების ოჯახებში ავტომანქანით გადაადგილების ფაქტი სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა პირად საუბარში დაადასტურა, თუმცა რევაზ ჩიტიძემ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ , რომ მისი ავტომანქანით ხშირად სოფლის რწმუნებული სარგებლობდა და თავად მასთან ერთად არ იმყოფებოდა ხოლმე.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში მედლებს, სოფლის რწმუნებულთან, მამუკა მამასახლისთან ერთად, ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, გიორგი ირემაშვილი არიგებდა. მან პრეზიდენტის საჩუქარი ნადენა ოქრუაშვილს და სხვა ვეტერანებს პირადად მიუტანა. აღნიშნული ფაქტი ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“, ხათუნა ელისაბედაშვილმა დააფიქსირა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მიერ ასეთი ქმედების განხორციელებით, ერთის მხრივ, ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა ხდება, რაც „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძველია, მეორეს მხრივ, კი ირღვევა ეუთო-ს კოპენჰაგენის

⁸ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტი განკარგულება №291.



კონფერენციის დოკუმენტის 5.4-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. კერძოდ, არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა“.

ყველა ამ ფაქტთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ცესკოს მიმართა. მან საქმე განსახილველად ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიას გადაუგზავნა. ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიამ საკითხი 20 მაისს განიხილა და 8 ხმით 2-ის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, დალი კვერენჩილაძეს რეგისტრაცია არ გაუქმა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საოლქო საარჩევნო კომისიის ეს გადაწყვეტილება ცესკოში გაასაჩივრა. ამჟამად ეს საკითხი განხილვის პროცესშია.

საბიუჯეტო რესურსები

მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთის – „ბათუმური ქრონიკები“ – 14-17 მაისის ნომერში პირველ გვერდზე ყველა პოლიტიკური მოძრაობის საარჩევნო ნომერი და სლოგანია გამოტანილი, რაც საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაა. კოდექსის თანახმად, აკრძალულია სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთი ბეჭდვითი მასალის დამზადება, რომელშიც ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერია ასახული, ან/და რომელიც ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო მასალას შეიცავს. ასეთი რუბრიკა საინფორმაციო მიზნებსაც რომ ემსახურებოდეს, მხოლოდ ფასიანი ან უფასო პოლიტიკური რეკლამის სახით შეიძლება განთავსდეს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ბეჭდვით მასალებში წინასაარჩევნო პერიოდში და აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომ ეს არის ფასიანი ან უფასო პოლიტიკური რეკლამა.



აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები გაზეთში არა მათი რიგითი ნომრების მიხედვით არ დალაგებული. არამედ პირველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მითითებული, მეორე – „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და შემდეგ – სხვა პარტიები (იხილეთ სურათი №10 - გაზეთის შესაბამისი გვერდი).

სურათი №10

სამომავლო საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და არჩევნებამდე კიდევ ერთ ანგარიშს გამოაქვეყნებს. არჩევნების შემდეგ ორგანიზაცია გამოსცემს საბოლოო ანგარიშს, რომელშიც მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ყველა დარღვევა და ხარვეზი იქნება ასახული, და მომავალში მათი პრევენციისათვის რეკომენდაციებიც იქნება მოცემული.